პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
—ივნისი 2024 წელი

„ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებში ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N82 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა: „ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებში ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N82 განკარგულებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შეიცვალოს ყველა პუნქტსა და დანართზე (რუკაზე) არსებული ჩანაწერი „ჯვარის I შესახვევი“ ჩანაწერით „ჯვარისის I შესახვევი“.

განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

30 / აპრილი / 2024 წ.

06-0324123-03

KA011703422521424

№ **95980**

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო") წარედგინა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2024 წლის 4 მარტის მარტის № 01/49644 მომართვა (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში სარეგისტრაციო ნომერი 59739/17), თანდართული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 20 თებერვლის № 82 განკარგულებით.

ამასთან, სააგენტოში დაცულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მოწოდებული დოკუმენტები:

ა) 2013 წლის 26 აპრილის №42 დადგენილება „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში ე.წ. „მუხიანი 2"-ის უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ". დადგენილებაში ე.წ. „მუხიანი 2"-ის დასახლებაში უსახელო ქუჩებს (პირობითად არაბული ციფრებით დანომრილი ქუჩები) განესაზღვრათ სახელწოდებები. კერძოდ, პირობითად 26-ე ქუჩას დაერქვა ჯვარისის ქუჩა.

ბ) 2024 წლის 20 თებერვლის №82 განკარგულება „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. მუხიანი 2-ის დასახლებაში, ღების ქუჩის მონაკვეთისთვის ჯვარის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ".

სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების ანალიზით დგინდება, რომ №42 დადგენილებასა და №82 განკარგულებაში მითითებული ინფორმაცია ქუჩისა (ჯვარისის ქუჩა) და შესახვევის (ჯვარის I შესახვევი) სახელწოდებების თაობაზე შეუსაბამოა.

სამისამართო რეესტრში მონაცემების ერთიანი პრინციპით აღრიცხვისა და სწორი მონაცემების რეგისტრირების, საქმისათვის არსებითი გარემოებების გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, დაგვიზუსტოთ ინფორმაცია თითოეულ გეოგრაფიულ ობიექტთან მიმართებაში რა ფორმით უნდა იქნას რეგისტრირებული აღნიშნული სახელწოდებები სამისამართო რეესტრში (გამოყენებული ინდივიდუალური მისამართების წარმოებისას).

გაცნობებთ, რომ სამისამართო რეესტრში შესახვევის (ჯვარის I შესახვევის) სახელწოდების ცვლილების სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა 2024 წლის 11 მარტის M24004243/3 გადაწყვეტილებით მითითებული დადებითი დასკვნის ასლის წარმოდგენამდე.

პატივცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია